ოქმი №2

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს **რიგგარეშე** სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 6 აგვისტოს.

სხდომა დაიწყო 11:30 საათზე, დამთავრდა 11:40 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის თავმჯდომარე - გ. წურწუმია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე - ი. კაჭარავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 8; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 5 აგვისტოს შემოსულია სენაკის მუნიციპლიტეტის მერიიდან მომართვა №:40-402521774 (სარეგისტრაციო №12-41252171-41) დადგენილების პროექტი - ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ და განკარგულების პროექტი - ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან(აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ სადაც მოთხოვნილია წარმოდგენილი პროექტების განხილვა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 8; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის სმუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 აგვისტოს რიიგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

3. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის'' შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან(აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია|

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).“

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, რომელიც გაიმართება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2025 წლის 07 აგვისტოს.

3. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 07 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე“.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია